

საქართველოს ორგანული კანონი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება (შემდგომში-პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ფარგლებში.

მუხლი 2.

პარტია, როგორც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.

მუხლი 3.

პარტიის შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ა) პარტიაში განწევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლო-ბითობა;
- ბ) დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;
- გ) არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;
- დ) პარტიების თანასწორობა კანონის წინაშე;
- ე) პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა.

მუხლი 4.

პარტია არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ კანონს.

მუხლი 5.

1. პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

2. დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა

ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

მუხლი 5¹ (28.12.2011. N5661)

1. პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (გარდა პარტიის კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარებისა – მაისურებისა, კეპებისა, ქუდეებისა, ღროშებისა და სხვა მსგავსი ნივთებისა), ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით საქონლის ან მომსახურების მიყიდვა ან მიწოდება, საბაზროზე მეტ ფასად საქონლის ან მომსახურების შესყიდვა, უსასყიდლოდ საქონლის ან მომსახურების (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) მიწოდება ან გავრცელება, ან საქართველოს მოქალაქის დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა ან მომსახურების (მათ შორის, ფიქციური შრომითი ან სხვაგვარი ურთიერთობების დამყარების) მიწოდებით ან დაპირებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, დაპირებასთან დაკავშირებული აკრძალვა არ შეეხება პოლიტიკურ და საარჩევნო დაპირებას, რომელიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებას და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას.

მუხლი 6.

დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

მუხლი 7.

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს პარტიის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

2. დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა პარტიის საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

თავი II

პარტიის შექმნა და მისი საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 8.

პარტიის შექმნისა და მისი საქმიანობაში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს.

მუხლი 9.

საქართველოს მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი პარტიის წევრი.

მუხლი 10 (29.12.2006 N4272)

მოქალაქეს, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, დაინიშნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურში სპეციალური უფლებამოსილებების მქონე მოსამსახურედ ანდა გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუწყდება პარტიის წევრობა.

მუხლი 11.

დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუხლი 12.

1. პარტიის შესაქმნელად მოქალაქეთა არანაკლებ 300-კაციანი ჯგუფი წინასწარი ნებართვის გარეშე ატარებს პარტიის დამფუძნებელ ყრილობას (კონფერენციას, კონგრესს, ასამბლეას ან სხვ.).

2. დამფუძნებელი ყრილობა იღებს პარტიის წესდებას.

3. დამფუძნებელ ყრილობას ესწრება და მის ოქმს ამოწმებს ნოტარიუსი.

მუხლი 13.

1. წესდებაში უნდა აღინიშნოს პარტიის:

ა) სახელწოდება, აგრეთვე მისი შემოკლებული დასახელება, თუ ასეთი გამოიყენება;

ბ) იურიდიული მისამართი;

გ) საქმიანობის მიზნები (ამოცანები) და მათი განხორციელების ფორმები;

დ) წევრად მიღებისა და წევრობის შეწყვეტის წესი და პირობები;

ე) წევრის უფლება-მოვალეობები;

ვ) ორგანიზაციული სტრუქტურა;

ზ) ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანო-ების შექმნის წესი, მათი კომპეტენცია და უფლებამოსილების ვადა;

თ) ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და წარმომადგენლობის ფარგლები;

ი) ქონების შექმნის წყაროები და მისი გამოყენების წესი;

კ) წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი და პირობები;

ლ) საქმიანობის შეწყვეტის საფუძვლები (რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის წესები);

მ) სიმბოლიკის აღწერილობა, თუ ასეთი გამოიყენება.

2. წესდება შეიძლება შეიცავდეს სხვა დებულებებსაც, რომლებიც ეხება პარტიის საქმიანობას და არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 14.

1. პარტიის სახელწოდება, მისი შემოკლებული დასახელება და სიმბოლიკა არ შეიძლება ემთხვეოდეს სხვა, უკვე რეგისტრირებული ან ლიკვიდირებული პარტიის სახელწოდებას, შემოკლებულ დასახელებასა და სიმბოლიკას, თუ ამ პარტიის ლიკვიდაციის დღიდან 4 წელზე ნაკლებია გასული.

2. აკრძალულია პარტიის სახელწოდების, შემოკლებული დასახელებისა და სიმბოლიკის გამოყენება ამ პარტიის ნებართვის გარეშე.

მუხლი 15.

1. პარტიის წესდებით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოები წესდებითვე დადგენილი პროცედურით, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებას პარტიის წევრად მიღების თაობაზე. წევრად მიღებაზე უარის თქმის მიზეზის დასაბუთება აუცილებელი არ არის.

2. პარტიიდან გასვლა თავისუფალია.

3. პარტიის წევრთა მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების ფარგლები, აგრეთვე საფუძვლები, რომლებიც ამართლებს მათ გამოყენებას, და პარტიის ორგანოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ასეთი ზომების შეფარდების თაობაზე, განისაზღვრება პარტიის წესდებით.

4. პარტიიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში იღებს წესდებით უფლებამოსილი ორგანო. ეს გადაწყვეტილება წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული. იგი შეიძლება გასაჩივრდეს პარტიის ზემდგომ ორგანოში.

მუხლი 16.

1. პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები არიან: პარტიის წევრთა ყრილობა (კონგრესი, ასამბლეა, კონფერენცია და სხვ.), გამგეობა (საბჭო, დარბაზი, სამდივნო, კომიტეტი და სხვ.), სარევიზიო კომისია (საზედამხედველო კომისია, საკონტროლო კომისია და სხვ.).

2. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს აგრეთვე პარტიის სხვა ორგანოების შექმნას და ხელმძღვანელი თანამდებობების შემოღებას.

მუხლი 17.

1. პარტიის ხელმძღვანელი ორგანო - პარტიის წევრთა ყრილობა არის პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. იგი მოიწვევა წესდებით დადგენილ ვადაში, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ.

2. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყრილობაში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიის ყველა წევრს. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ყრილობაში პარტიის წევრთა ჯგუფების მიერ არჩეული წარმომადგენლების მონაწილეობას. ამ წარმომადგენელთა კვოტები დგინდება წესდებით ან გამგეობის გადაწყვეტილებით, ისე, რომ აირჩეს არანაკლებ 200 წარმომადგენლისა.

3. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პარტიის წევრთა ან წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს უფრო მაღალ კვორუმს.

4. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყრილობა გადანყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

5. ყრილობის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, პარტიის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების არჩევა, პარტიის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადანყვეტა.

მუხლი 18.

1. პარტიის აღმასრულებელ ორგანოს - გამგეობას წესდებით დადგენილი ვადით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა.

2. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს უფრო მაღალ კვორუმს.

3. გამგეობა გადანყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ცალკეული საკითხების კვალიფიციური უმრავლესობით გადანყვეტას.

მუხლი 19.

1. პარტიის სარევიზიო ორგანოს - სარევიზიო კომისიას წესდებით დადგენილი ვადით, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა.

2. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს უფრო მაღალ კვორუმს. 3. სარევიზიო კომისია გადანყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ცალკეული საკითხების კვალიფიციური უმრავლესობით გადანყვეტას.

4. სარევიზიო კომისიის განსაკუთრებული უფლებამოსილებაა პარტიის საფინანსოსაბუღალტრო დოკუმენტების რევიზია. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კომისიის სხვა საკონტროლო ფუნქციებს.

მუხლი 20.

პარტიის ყრილობის მოწვევის, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევის წესს, აგრეთვე მათი უფლებამოსილების ფარგლებს ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრავს პარტიის წესდება.

მუხლი 21.

1. პარტიას უფლება აქვს შექმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები (ფილიალი, წარმომადგენლობა, ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვ.) იურიდიული პირის უფლების გარეშე.

2. თუ პარტიის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ქვედანაყოფის დებულებას ამტკიცებს პარტიის გამგეობა.

3. თუ ქვედანაყოფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაშინ მის დებულებას და პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებულ ნიმუშებს პარტიის გამგეობა (ხელმძღვანელი თანამდებობის პირი) ერთი თვის ვადაში უგზავნის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

4. თუ ქვედანაყოფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში, მაშინ მის დებულებას, პარტიის წესდებს და პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებულ ნიმუშს (ნიმუშებს) პარტიის გამგეობა ერთი თვის ვადაში უგზავნის შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს. (25.05.2007 N 4817)

მუხლი 22.

1. პარტიის რეგისტრაცია ხდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

2. პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარედგინება შემდეგი დოკუმენტები:

ა) განცხადება პარტიის რეგისტრაციის შესახებ, პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) ხელმოწერით (ხელმოწერებით);

ბ) ნოტარიუსის მიერ დამოწმებული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ოქმი;

გ) პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია, სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, პირადობის მონიშვნის ნომერის, სამუშაო ადგილის, საცხოვრებელი ადგილის მისამართისა და ტელეფონის მითითებითა და მათი ხელმოწერებით;

დ) პარტიის წესდება;

ე) ცნობა პარტიის იურიდიული მისამართისა და ტელეფონის შესახებ;

ვ) პარტიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერის (ხელმოწერების) ნოტარიულად დამოწმებული ნიმუშები;

ზ) ესკიზები პარტიის ბეჭდის, ემბლემისა და სხვა სიმბოლოების გამოსახულებით, თუ ასეთები გამოიყენება.

მუხლი 23.

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების სისწორეს და პარტიის რეგისტრაციის საკითხს წყვეტს მათი წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

2. პარტიის მარეგისტრირებელი ორგანო წარდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) რეგისტრირებულ იქნეს;

ბ) უარი ეთქვას რეგისტრაციაზე.

3. პარტიის რეგისტრაციის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო სარეგისტრაციო მონიშვნას გასცემს გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

4. პარტიას შეიძლება უარი ეთქვას რეგისტრაციაზე, თუ მისი წესდება ან სარეგისტრაციოდ წარდგენილი სხვა დოკუმენტები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ან ამ კანონის მოთხოვნებს.

5. პარტიის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია განმცხადებელს გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში, წერილობით აცნობოს ამის თაობაზე, უარის თქმის დასაბუთებული მიზეზის მითითებით.

6. პარტიას შეუძლია რეგისტრაციაზე უარი ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს სასამართლოში.

7. რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზის აღმოფხვრის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია ხელახლა წარადგინოს დოკუმენტები სარეგისტრაციოდ.

8. თუ ამ მუხლით დადგენილ ვადაში არ განხორციელდა რეგისტრაცია და განმცხადებელს არ ეცნობა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, ამასთან, თუ პარტიის მიერ წარდგენილი დოკუმენტები აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, პარტია რეგისტრირებულად ჩაითვლება და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია მომდევნო 7 დღის ვადაში გასცეს სარეგისტრაციო მოწმობა.

მუხლი 24.

1. პარტია ვალდებულია წესდებაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში 10 დღის ვადაში აცნობოს ამის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები.

2. ცვლილების რეგისტრაცია ხდება ამ კანონის 23-ე მუხლით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში.

3. წესდებაში შეტანილი ცვლილების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ ამ ცვლილების რეგისტრაციის შემდეგ.

თავი III

პარტიის ქონება და ფინანსები, პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი (სათაური

(28.12.2011. N5661)

მუხლი 25 (28.12.2011. N5661)

1. პარტიის ქონებას ქმნის:

ა) სანევრო შენატანები;

ბ) შემოწირულობები;

გ) კანონით დადგენილ შემთხვევებში – სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები;

დ) პარტიის მიერ პარტიის სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების მოწყობით, ასევე სანესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული თანხები, რომლებიც არ ცვლის პარტიის, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის, ხასიათს, აგრეთვე საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემოწირულობები. ამ ქვეპუნქტის საფუძველზე წლის

განმავლობაში მიღებული შემოსავლის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს.

2. შემოწირულებად ითვლება პარტიის ანგარიშზე საქართველოს მოქალაქის მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრები, აგრეთვე პარტიის მიერ უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ფასეულობა და მომსახურება (გარდა მოხალისის მიერ ნებაყოფლობით შესრულებული სამუშაოსი), შელავათიანი პირობებით აღებული კრედიტი.

3. პარტიას უფლება არ აქვს, აიღოს სესხი/კრედიტი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან. საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის საარჩევნო სუბიექტმა (პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა) შეიძლება ასეთ სუბიექტად რეგისტრაციის შემდეგ „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომერციული ბანკიდან აიღოს კრედიტი საერთო რაოდენობით არა უმეტეს ერთი მილიონი ლარისა.

მუხლი 25¹ (28.12.2011. N5661)

1. პარტიის და მასთან დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წლის განმავლობაში მიღებული სახელმწიფო დაფინანსების, შემოწირულებებისა და კანონით დაშვებული სხვა ფორმებით მიღებული შემოსავლის საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ს, ისევე, როგორც პარტიის მიერ განეული ხარჯის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ს.

2. პარტია ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ზღვრის გადაჭარბებით მიღებული თანხები მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში დაუბრუნოს შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღნიშნული თანხები გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. პარტიის საექსპერტო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე განეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული ოდენობის 10%-ს.

4. პარტია უფლებამოსილია სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნის ფარგლებში წლის განმავლობაში საჩუქრად გასცეს მცირე ღირებულების მქონე ნივთები საერთო ღირებულებით არა უმეტეს 5 000 ლარისა.

5. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხარჯებისა და შემოსავლების საერთო ოდენობები არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ზღვრულ ოდენობებს.

6. თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, „წელი“ ნიშნავს პერიოდს 1 ნოემბრიდან მომავალი წლის 1 ნოემბრამდე.

მუხლი 26. (16.12.2005 N 2260)

1. აკრძალულია ფინანსური და მატერიალური შემოწირულობების მიღება:

ა) სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან, ლექციების, სემინარებისა და სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა;

ა¹) იურიდიული პირებისაგან, მათი გაერთიანებებისაგან, სხვა ტიპის ორგანიზაციული წარმონაქმნებისაგან; (28.12.2011. N5661)

ბ) სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; (28.12.2011. N5661)

გ) არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან, ლექციების, სემინარებისა და სხვა მსგავსი საჯარო ღონისძიებების მოწყობის გარდა;

დ) მოქალაქეობის არმქონე პირისაგან;

ე) ანონიმური ფორმით (8.06.2007 N4918 *ძალაშია 2007 წლის 1 ოქტომბრიდან*)

2. შემონირულების განხორციელებისას პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ნომერი და პირადი ნომერი. (28.12.2011. N5661)

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად. ანონიმური შემონირულობები პოლიტიკური გაერთიანების საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ დაუყოვნებლივ უნდა გადაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

4. საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებულ შემონირულებებზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემონირულებების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს წელიწადში. (8.06.2007 N4918 *ძალაშია 2007 წლის 1 ოქტომბრიდან*)

5. პარტიის საფინანსო საქმიანობაზე პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ვალდებულია საჯარო ღონისძიებების მეშვეობით მიღებული შემონირულებები 7 დღის ვადაში გადაირიცხოს პარტიის ანგარიშზე. (8.06.2007 N4918 *ძალაშია 2007 წლის 1 ოქტომბრიდან*)

6. პარტიის შემონირულებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მონაცემებს, საჯაროა. აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საქართველოს კონტროლის პალატა. (28.12.2011. N5661) (8.06.2007 N4918 *ძალაშია 2007 წლის 1 ოქტომბრიდან*)

მუხლი 26¹ (28.12.2011. N5661)

1. ამ თავით პარტიისთვის დადგენილი შეზღუდვები ასევე ვრცელდება:

ა) იურიდიულ პირზე, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პარტიასთან, სხვაგვარად იმყოფება პარტიის კონტროლის ქვეშ ან აქვს განცხადებული პოლიტიკური მიზნები და ამოცანები;

ბ) იურიდიულ პირზე, რომელიც წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერისკენ ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავებისკენ;

გ) პირზე, რომელსაც აქვს განცხადებული პოლიტიკური და საარჩევნო მიზნები და ამოცანები, მასთან დაკავშირებულ პირზე, აგრეთვე მასთან საქმიანი ურთიერთობის მქონე პირზე, რომელსაც აქვს პოლიტიკური და საარჩევნო მიზნები, ან ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც გავლენას ახდენს არჩევნებში, პლებისციტსა და რეფერენდუმში საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოვლენაზე და ეს ქმედებები ხორციელდება ამ კანონის რეგულაციებისთვის გვერდის ავლის მიზნით.

2. იურიდიული პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული პარტიასთან, როცა მისი ხარჯები პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება პარტიის საქმიანობასა და მიზნებს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამობატვის თავისუფლებისა და სამოქალაქო აქტივობის განხორციელების წინააღმდეგ.

მუხლი 27 (28.12.2011. N5661)

1. პარტიის მიერ თითოეული მოქალაქისგან მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს. პარტიის თითოეული წევრის საწევრო შენატანების წლიური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 200 ლარს.

2. შემომწირველი არ შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომლის წლიური შემოსავლების 15%-ზე მეტი მიღებულია მის სასარგებლოდ ან მისი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს სასარგებლოდ განხორციელებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვებით.

3. მოქალაქემ შემოწირულებები შეიძლება განახორციელოს წლის განმავლობაში რამდენიმე პარტიის სასარგებლოდ, მაგრამ აღნიშნულ შემოწირულებათა საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 60 000 ლარს.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა ვრცელდება ყველა სახის შემოწირულებაზე, მათ შორის, პარტიის მიზნებისათვის და მისი სახელით განეულ მომსახურებებზე.

5. პარტიის მიერ საწევრო შენატანები, აგრეთვე მოქალაქისაგან შემოწირულებების სახით ფულადი სახსრები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოწირულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში არსებული, შემომწირველის ან საწევრო შენატანის განმახორციელებელი პირის კუთვნილი ანგარიშიდან.

6. შემოწირულების სხვა პირის მეშვეობით განხორციელება ან კანონით დადგენილი შეზღუდვებისთვის სხვაგვარად გვერდის ავლა გამოიწვევს შემოწირულების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვას, ხოლო სამართალდამრღვევ პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

7. თუ შემომწირველი ფიზიკური პირები შემოსავალს მთლიანად ან ნაწილობრივ იღებენ ერთი წყაროდან (ფიზიკური ან იურიდიული პირებისაგან ან მათთან დაკავშირებული პირებისაგან), მაშინ მათ მიერ ერთი საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ წლის განმავლობაში განხორციელებულ შემოწირულებათა საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 000 ლარს, ამასთანავე, თითოეულის მიერ განხორციელებული შემოწირულების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს.

მუხლი 27¹ (28.12.2011. N5661)

1. შემოწირულების შესახებ ინფორმაცია პარტიამ 3 დღის ვადაში უნდა წარუდგინოს საქართველოს კონტროლის პალატას.

2. თუ შემოწირულების მიღებით ირღვევა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები, პარტია ვალდებულია თანხა მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში დაუბრუნოს შემომწირველს. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

3. პარტიის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ შესაბამისი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

მუხლი 28.

1. ამოღებულია (28.12.2011. N5661)

2. თუ პარტიის მიერ კანონის დარღვევით მიღებული ფინანსური და მატერიალური შემოწირულებების საერთო ოდენობა წელიწადში: (28.12.2011. N5661)

ა) 2 000-დან 15 000 ლარამდეა, პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება 1 წლის განმავლობაში;

ბ) 15 000-დან 50 000 ლარამდეა, პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება 2 წლის განმავლობაში;

გ) 50 000 ლარზე მეტია, პარტიას მოეხსნება სახელმწიფო დაფინანსება 4 წლის განმავლობაში.

3. იმ პარტიების მიმართ, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფო დაფინანსების უფლება, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციები ამოქმედდება ამ უფლების მიღების შემდეგ.

მუხლი 29.

სახელმწიფოს მიერ პარტიების საარჩევნო კამპანიის დაფინანსება რეგულირდება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 29¹ (30.12.2008 N 963)

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა თანხა პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გამოყოფილი თანხებით პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებისათვის თანხის გადაცემის გზით;

ბ) ამ კანონის შესაბამისად, ფონდიდან პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის თანხის განაწილების გზით.

მუხლი 30 (30.12.2008 N 963)

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანაწილებლად გამოყოფილი თანხა პარტიებს გადაეცემათ ამ მუხლით დადგენილი წესით.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირდაპირ პარტიებზე გასანაწილებლად გამოყოფილ თანხას იღებს ის პარტია, რომელმაც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახა 4%-იანი ბარიერი ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 3%-იანი ბარიერი.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო დაფინანსების სახით გამოყოფილი თანხა შედგება საბაზისო ნაწილის, პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრისათვის გამოყოფილი დანამატისა და მიღებული ხმების ოდენობის შესაბამისი კომპონენტისაგან.

4. პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსება გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$Z=B+(M*600*12)+(L*100*12)+(V*1,5)+(W*1),$$

სადაც Z არის პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსების ოდენობა; B – საბაზო დაფინანსების ოდენობა; M – პროპორციული სისტემით არჩეული 30 და 30-მდე პარლამენტის წევრთა რაოდენობა; L – პროპორციული სისტემით არჩეული 30 წევრის ზემოთ პარლამენტის წევრთა რაოდენობა; V – 200 000 ამომრჩევლამდე მიღებული ხმების ოდენობა; W – 200 000 ამომრჩევლის ზემოთ მიღებული ხმების ოდენობა.

5. საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში არის 150 000 ლარი.

6. თუ საარჩევნო სუბიექტი (პარტია/საარჩევნო ბლოკი) უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში გადალახავს 8%-იან ბარიერს ან უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნებში – 6%-იან ბარიერს, საბაზო დაფინანსების ოდენობა წელიწადში იქნება 300 000 ლარი. საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით შეიძლება საბაზო დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იქნეს უფრო დიდი ოდენობის თანხა.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ფორმულის მიზნებისათვის M და L ტოლია ნულის, თუ პროპორციული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილება

შენყდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. M და L ასევე იცვლება (მცირდება ან იზრდება) შესაბამისი ოდენობით, თუ პროპორციული სისტემით არჩეულმა პარლამენტის წევრებმა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ სამი თვის ვადაში დატოვეს პარტია ან შეუერთდნენ პარტიას, რომელიც იღებს საბიუჯეტო დაფინანსებას ამ კანონით დადგენილი წესით.

7¹. საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს დაფინანსებას ამ მუხლით დადგენილი წესით, მიიღებს დაფინანსებაზე დანამატს 10%-ის ოდენობით, თუ მის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე – ყველა პარტიულ სიაში) ყოველ 10 კანდიდატს შორის განსხვავებული სქესის წარმოდგენილია სულ მცირე 20%-ით. (28.12.2011. N5661)

8. ამ მუხლით გათვალისწინებული ფორმულის მიზნებისათვის, უკანასკნელი საპარლამენტო ან უკანასკნელი ადგილობრივი თვითმმართველობის საერთო არჩევნების შედეგები გამოყენებული იქნება პარტიის შეხედულებისამებრ, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობებით.

9. თუ ამ მუხლის მიზნებისათვის გამოიყენება საარჩევნო ბლოკის მიერ შესაბამის არჩევნებში ნაჩვენები შედეგები, მიღებული ხმების ოდენობა იყოფა შესაბამის საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიათა ოდენობაზე.

10. საბაზო დაფინანსება თანაბრად ნაწილდება საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიებს შორის.

11. პარტია საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც უნდა წარედგინოს საქართველოს კონტროლის პალატას ყოველწლიურად, არა უგვიანეს 25 ნოემბრისა. თუ პარტიამ კანონით დადგენილ ვადაში არ წარადგინა წერილობითი თანხმობა მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების თაობაზე, ამ ვადის გასულიდან მეორე დღეს საქართველოს კონტროლის პალატა წერილობით აცნობებს პარტიას ამის შესახებ. პარტიას უფლება აქვს, საქართველოს კონტროლის პალატის წერილობითი გაფრთხილების მიღებიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შესაბამისი თანხმობა. თუ პარტიამ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დადგენილ ვადაში კვლავ არ წარადგინა შესაბამისი თანხმობა, იგი კარგავს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლებას, რის შესახებაც მას საქართველოს კონტროლის პალატა წერილობით აცნობებს. საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია პარტიის მიერ მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლების დაკარგვიდან 5 დღეში აღნიშნული თანხა დააბრუნოს სახელმწიფო ბიუჯეტში. (28.12.2011. N5661)

მუხლი 30¹ (30.12.2008 N 963)

1. ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გადაირიცხება თანხა ფონდში, რომლის მიზანია პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

2. ფონდიდან პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციას ასრულებს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. (25.12.2009 N 2476)

4. ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასარიცხი თანხა უნდა იყოს ამ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად პარტიებზე პირდაპირ გასანაწილებელი თანხის ნახევარი.

5. ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გადარიცხვა განხორციელდება ყოველკვარტალურად.

6. ფონდში თანხების მოზიდვა შესაძლებელია სხვა წყაროებიდანაც.

7. ფონდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხული თანხის 50% უნდა განაწილდეს პარტიებზე, ხოლო 50% – არასამთავრობო ორგანიზაციებზე.

8. ფონდიდან პარტიებისთვის გამოყოფილი თანხა ნაწილდება მათ მიერ მისაღები საბაზო დაფინანსების პროპორციულად.

9. ფონდიდან თანხა გაიცემა მხოლოდ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების დაფინანსების მიზნით. (28.12.2011. N5661)

10. არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტები უნდა გაიცეს მხოლოდ პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაზე გასაცემი თანხა არ უნდა აღემატებოდეს არასამთავრობო სექტორზე გასანაწილებელი თანხის 10%-ს. არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტების განხილვისას ცენტრის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით უნდა მონაწილეობდეს სულ მცირე 3 საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი. (28.12.2011. N5661)

11. პარტიამ ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს ფონდს ანგარიში მიღებული თანხის მიზნობრივად გამოყენების შესახებ. თუ პარტია ანგარიშს არ წარადგენს კანონით დადგენილი წესით ან თანხას არ გამოიყენებს ამ მუხლით დადგენილი მიზნებისათვის, პარტიას შეუწყდება ფონდიდან მისაღები დაფინანსება ერთი წლის განმავლობაში.

12. თუ პარტიები ან არასამთავრობო სექტორი ვერ გამოიყენებენ ამ ფონდიდან მათთვის გასაცემ თანხას, ეს თანხა გასანაწილებლად გადავა მომდევნო წელს.

მუხლი 31. (15.07.2008 N 230)

1. ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო დაფინანსების გაცემა იწყება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგის გამოცხადებიდან.

2. საბიუჯეტო დაფინანსების სახით მისაღები თანხა პარტიის ანგარიშზე ჩაირიცხება ყოველთვიურად, პარტიის საბიუჯეტო დაფინანსების 1/12-ის ოდენობით.

3. თუ პარტიას საბიუჯეტო დაფინანსების მიღების უფლება წარმოეშობა წლის განმავლობაში, მაგრამ წლის ბოლომდე დარჩენილია სულ მცირე 6 კალენდარული თვე, პარტია ამ წლის საბიუჯეტო დაფინანსებას სრულად მიიღებს და თანხა განაწილდება

პროპორციულად, დარჩენილი თვეების მიხედვით, ხოლო თუ წლის ბოლომდე დარჩენილია 6 კალენდარულ თვეზე ნაკლები, პარტია დაფინანსებას მიიღებს მხოლოდ დარჩენილი თვეების ოდენობით, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი საბიუჯეტო დაფინანსების გაცემის წესის შესაბამისად.

4. თუ პარტია უარს იტყვის ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებულ ფულად სახსრებზე, ისინი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

5. ამოღებულია (30.12.2008 N 963)

მუხლი 32 (28.12.2011. N5661)

1. პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე საქართველოს კონტროლის პალატას უგზავნის გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნასთან ერთად. პარტიის იურიდიული მისამართის მიხედვით ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში იგზავნება დეკლარაციისა და აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნის ასლები. დეკლარაციაში აისახება პარტიის წლიური შემოსავალი (საწევრო შენატანებისა და შემოწირულობების ოდენობები, საწევრო შენატანების განმახორციელებელ მოქალაქეთა ვინაობა, მონაცემები შემოწირულობების განმახორციელებელი მოქალაქეების თაობაზე, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი, აგრეთვე პარტიის მიერ საგამომცემლო საქმიანობიდან და სხვადასხვა ღონისძიების მონაწილობით მიღებული თანხები) და გასავალი (არჩევნებზე, სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, შრომის ანაზღაურებასა და მივლინებაზე განეული და სხვა ხარჯები), აგრეთვე ქონებრივი მდგომარეობის ანგარიში (კუთვნილი შენობა-ნაგებობებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა და სახეობა, მათი საერთო ღირებულება, საბანკო დანესებულებებში რიცხული თანხების ოდენობა).

2. არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების შემოსავალ-გასავალი პარტიის საფინანსო დეკლარაციაში ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები.

3. საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია პარტიის საფინანსო დეკლარაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, აგრეთვე უზრუნველყოს დეკლარაციის შესაბამის ვებგვერდზე გამოქვეყნება მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. პარტია ვალდებულია საფინანსო დეკლარაციაში ასახოს მასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ან მისი კონტროლის ქვეშ სხვაგვარად მყოფი იურიდიული პირის ხარჯები.

5. პარტიის წლიური საფინანსო დეკლარაციის ფორმას შეიმუშავებს და პარტიის დაფინანსების აუდიტის სტანდარტებს ადგენს საქართველოს კონტროლის პალატა.

6. პარტია ვალდებულია შეინახოს საფინანსო დეკლარაცია და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი 6 წლის განმავლობაში, ასევე შეასრულოს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საგადასახადო დოკუმენტების წარმოებასა და შენახვასთან.

მუხლი 32¹ (28.12.2011. N5661)

არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ ყველა პარტია, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში, საქართველოს კონტროლის პალატას წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს კონტროლის პალატის მიერ დადგენილი ფორმით.

მუხლი 32² (28.12.2011. N5661)

ამ კანონით გათვალისწინებული პარტიების ფინანსურ მდგომარეობასთან და შემოწირულებების განხორციელებასთან დაკავშირებული მონაცემების გამჭვირვალობის წესს ადგენს საქართველოს კონტროლის პალატა.“.

მუხლი 33 (28.12.2011. N5661)

1. პარტია ვალდებულია ყოველწლიურად განახორციელოს თავისი საქმიანობის ფინანსური აუდიტი.

2. პარტია უფლებამოსილია თავისი საქმიანობის ფინანსური აუდიტის განხორციელების მიზნით მიმართოს ნებისმიერ დამოუკიდებელ აუდიტორს, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

3. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა პარტიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარედგინება საქართველოს კონტროლის პალატას.

მუხლი 33¹ (28.12.2011. N5661)

ბათილია გარიგება, რომელიც მიზნად ისახავს ამ თავით დადგენილი წესებისა და შემზღვევებისთვის თავის არიდებას. ამგვარი გარიგების საფუძველზე გაცემული და მიღებული ქონება მიექცევა სახელმწიფოს საკუთრებაში.“.

მუხლი 34 (28.12.2011. N5661)

თუ პარტია დროულად არ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას საქართველოს კონტროლის პალატას, კონტროლის პალატა მას წერილობით გააფრთხილებს და მოსთხოვს ხარვეზის 5 დღის განმავლობაში აღმოფხვრას. თუ პარტია 5 დღის გასვლის შემდეგაც არ წარუდგენს საფინანსო დეკლარაციას საქართველოს კონტროლის პალატას, იგი კარგავს ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 34¹ (28.12.2011. N5661)

1. პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა.

2. საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილია:

ა) შეიმუშაოს პარტიის წლიური საფინანსო დეკლარაციის ფორმა;

ბ) დაადგინოს პარტიის დაფინანსების აუდიტის სტანდარტები;

გ) შეამოწმოს პარტიის საფინანსო დეკლარაციისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის სისრულე, სისწორე და კანონიერება;

დ) ჩაატაროს პარტიის ფინანსური საქმიანობის აუდიტი;

ე) უზრუნველყოს პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობა;

ვ) საჭიროების შემთხვევაში პარტიიდან, ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით;

ზ) საჭიროების შემთხვევაში პირებისგან მოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ პარტიებისთვის და ამ კანონის 26¹ მუხლით განსაზღვრული პირებისთვის გადაცემული ან მათგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ;

თ) დაინტერესებულ პირებს გაუწიოს კონსულტაცია პარტიის დაფინანსების საკითხებზე;

ი) მოახდინოს რეაგირება პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

კ) დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს პროკურატურის ორგანოებს.

3. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ირღვევა ამ კანონით დადგენილი მოთხოვნები, სახელმწიფო ორგანოები ამის თაობაზე ინფორმაციას აწვდიან საქართველოს კონტროლის პალატას.

მუხლი 34² (28.12.2011. N5661)

1. პარტიის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულების მიღება ან დამალვა –

გამოიწვევს აკრძალული შემოწირულების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას და პარტიის დაჯარიმებას მიღებული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულების ათმაგი ოდენობით. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

2. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ პარტიის სასარგებლოდ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულების განხორციელება –

გამოიწვევს აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულების განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის დაჯარიმებას შემოწირულების ათმაგი ოდენობით. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

3. პირის მიერ პარტიის სასარგებლოდ კანონით აკრძალული ფინანსური ან მატერიალური შემოწირულების მიღება ან/და შემოწირულების თაობაზე ინფორმაციის დამალვა –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას შემოწირულების ათმაგი ოდენობით. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

4. პარტიის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს პარტიის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

5. პარტიის მიერ საქართველოს კონტროლის პალატისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს პარტიის დაჯარიმებას 5 000 ლარით. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა პირს შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ქმედების ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმის არაერთგზის დარღვევის ან საქართველოს კონტროლის პალატის კანონიერი მოთხოვნის განზრახ შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან თუ სამართალდარღვევამ მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია უფლებამოსილია საქართველოს კონტროლის პალატის წარდგინების საფუძველზე საარჩევნო სუბიექტს შეუჩეროს საარჩევნო რეგისტრაცია, თუ დარღვევა გულისხმობს არჩევნებამდე 1 წლის განმავლობაში ჩადენილ ქმედებას. (28.12.2011. N5661 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

8. საქართველოს კონტროლის პალატა ყადაღას ადებს პარტიის, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), რომელიც შეიძლება სამართალდარღვევის თაობაზე მიღებულ დადგენილებასთან ერთად გასაჩივრდეს სასამართლოში. გასაჩივრება არ აჩერებს ყადაღის მოქმედებას.

9. საქართველოს კონტროლის პალატა ამ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადგენს ოქმს და იღებს დადგენილებას შესაბამისი სახდელის შეფარდების თაობაზე. ამ საქმის მიმართ გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესები.

თავი IV

პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

მუხლი 35.

პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 36.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია აკრძალოს პარტია, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება.

მუხლი 37.

1. პარტიის საქმიანობა შეიძლება აგრეთვე შეწყდეს რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა) ან თვითლიკვიდაციის საფუძველზე.

2. პარტიის რეორგანიზაცია ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით, ხოლო რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პარტიის (პარტიების) რეგისტრაცია - ამ კანონით დადგენილი წესით.

3. რეორგანიზაციის შემთხვევაში პარტიის ქონების განაწილების საკითხს წყვეტს ყრილობა, დადგენილი წესით.

4. პარტიის თვითლიკვიდაცია ხდება ყრილობის გადაწყვეტილებით, წესდებით დადგენილი წესით.

მუხლი 38.

პარტიის აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას.

თავი V

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 39.

1. "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებული პარტიები ექვემდებარებიან ხელახალ რეგისტრაციას, ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, 1998 წლის 1 მარტამდე.

2. ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევაში პარტიაზე არ ვრცელდება ამ კანონის მე-12 მუხლით, აგრეთვე 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. ამოღებულია (15.07.2008 N 230)

4. ამოღებულია (15.07.2008 N 230)

5. ამოღებულია (15.07.2008 N 230)

6. ამოღებულია (15.07.2008 N 230)

7. ამ კანონის 30-ე მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესი 2011 წლის 1 იანვრამდე არ ვრცელდება იმ პარტიაზე, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს 2007 წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით. (27.02.2009 N 1026)

8. ამოღებულია (15.07.2008 N 230)

9. ამ კანონის 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესი ვრცელდება 2007 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგებზე. (27.02.2009 N 1026)

10. 2009 წლის საბიუჯეტო დაფინანსების მიღების შესახებ პარტიებმა წინასწარი წერილობითი თანხმობა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 2009 წლის 31 იანვრისა. (30.12.2008 N 963)

თავი VI

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 40.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 40¹. (16.12.2005 N 2260)

ამ კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 41.

ამ კანონის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" (საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991წ., 8, მუხ. 591).

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,

1997 წლის 31 ოქტომბერი.

N 1028 - I ს